მომხმარებლის სახელმძღვანელო

დინამიკები 2.0
BHS-200

Fiero

სარჩევი

მოწყობილობის დანიშნულება **4**

უსაფრთხოების ზომები **4**

მოწყობილობის სქემა **6**
მართვისა და მიერთების პანელების სქემები 6
კაბელების მიერთების სქემა 8
დისტანციური მართვის პულტი 9

ტექნიკური მახასიათებლები **10**

კომპლექტაცია **10**

ექსპლუატაციის ინსტრუქცია **11**
დინამიკების მიერთება კვების წყაროსთან 11
დინამიკების მიერთება გარე მოწყობილობასთან 11
გარე მოწყობილობების მიერთება 11
USB-მეხსიერების მიერთება 11
მოწყობილობების მიერთება Bluetooth-ით 11

შესაძლო პრობლემები და მათი გადაჭრის გზები **12**

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები **13**

დამატებითი ინფორმაცია **14**

ძვირფასო მომხმარებელო!

მადლობას გიხდით ჩვენი პროდუქციის არჩევისთვის.
სასიხარულოა შემოგთავაზოთ ნაწარმი და მოწყობილობები, რომლებიც შემუშავებული და დამზადებულია ხარისხის, ფუნქციონალურობისა და დიზაინის მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. ექსპლუატაციის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვენს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე რეკომენდაციები პროდუქტის სწორად გამოყენებისა და მოვლისთვის. იზრუნეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს შენარჩუნებაზე და გამოიყენეთ იგი, როგორც საცნობარო მასალა ნაწარმის შემდგომი ექსპლუატაციისას.

მოწყობილობის დანიშნულება


აუდიოდინამიკი წარმოადგენს ხმის დაკვრის მოწყობილობას, რომელსაც შესაბამისი აუდიოპორტების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მიუერთდეს პერსონალურ კომპიუტერს, ლეპტოპს ან ხმის სხვა წყარო-მოწყობილობებს. მოწყობილობის მუშაობის პრინციპი: ელექტრული რხევების აკუსტიკურ რხევებად გარდაქმნა. ხმოვანი სიგნალის გადაცემა ხორციელდება AUX — RCA (Jack 3,5 მმ) ინტერფეისის, Bluetooth-მოდულის, კოაქსიალური შესასვლელის, ოპტიკური შესასვლელის ან USB ინტერფეისის საშუალებით. მოწყობილობის კვება ხორციელდება USB ინტერფეისით.

უსაფრთხოების ზომები

- ელექტრული დენის დარტყმის თავიდან ასაცილებლად ნუ დაშლით და ნუ გახსნით მოწყობილობის კორპუსს. ნუ შეეცდებით მის დამოუკიდებლად შეკეთებას. მოწყობილობის ნებისმიერი მომსახურება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ავტორიზებული სერვისცენტრის კვალიფიცირებული სპეციალისტების მიერ.
- თუ მოწყობილობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ გამოიყენება, გამოაერთეთ იგი კვების წყაროდან.
- მოწყობილობის კვების წყაროდან გამორთვისას შეეხეთ მხოლოდ შტეფსელის იზოლირებულ ნაწილს. ნუ მოქაჩავთ სადენს.
- არ შეეხოთ მოწყობილობას სველი ხელებით.
- დაიცავით მოწყობილობა კორპუსის შიგნით ან მის რომელიმე ხვრელში გარეშე საგნების მოხვედრისგან. არ დაუშვათ მოწყობილობის შიგნით ნემსების, ქინძისთავების, მონეტებისა და სხვა წვრილი საგნების, ასევე მწერების მოხვედრა.
- დაიცავით მოწყობილობა წყლისა და ნებისმიერი სითხის მოხვედრისგან, ტენის ზემოქმედებისგან, ასევე ექსტრემალური ტემპერატურების, მტვრისა და ჭუჭყისგან.
- ნუ დააყენებთ მოწყობილობას მომატებული ტენიანობისა და მტვრიანობის მქონე სივრცეებში. ნუ დადებთ მოწყობილობაზე და მის უშუალო სიახლოვეს სითხით სავსე ჭურჭელს (ვაზები, ჭიქები, ბოთლები და ა.შ.).
- დაიცავით მოწყობილობა გადახურებისგან. ნუ განათავსებთ მას სითბოს მძლავრი წყაროების (გამათბობელი ხელსაწყოები და ა.შ.) გვერდით და ასევე ნუ დაუქვემდებარებთ პირდაპირი მზის სხივების ზემოქმედებას.
- მოწყობილობის გასაწმენდად ნუ გამოიყენებთ ბენზოლშემცველ ნივთიერებებს, სპირტებს, გამხსნელებს, რადგან მათ შეუძლიათ დააზიანონ მოწყობილობა, ასევე მისი შეღებილი ზედაპირი. მოწყობილობის გასასუფთავებლად გამოიყენეთ მხოლოდ რბილი მშრალი ქსოვილი.

- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- მოწყობილობის დაზიანებისა და ელექტრული დენის დარტყმის თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ მხოლოდ გამართული კონექტორები მისაერთებლად.
- თუ მოწყობილობამ ფუნქციონირება შეწყვიტა ან არასწორად ფუნქციონირებს, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მისი გამოყენება და მიმართეთ სერვისცენტრს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე კონტროლს ახორციელებენ მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.


მოწყობილობის სქემა




1. ინფრაწითელი გამოსხივების მიმღები.
2. მარჯვენა დინამიკი.
3. მარცხენა დინამიკი.

მართვისა და მიერთების პანელების სქემები


4. USB კონექტორი.
5. სინათლის ინდიკატორი:
   - ცისფერი: RCA — 3,5 მმ.
   - ნარინჯისფერი: 2RCA — 2RCA.
   - ლურჯი: Bluetooth-ის რეჟიმი.
   - თეთრი: ოპტიკური რეჟიმი.
   - იისფერი: USB-ის რეჟიმი.
6. ხმის რეგულატორი, სიგნალის წყაროს არჩევის ღილაკი (Bluetooth, ოპტიკური, RCA — 3,5 მმ, 2RCA — 2RCA, USB).
7. მაღალი სიხშირეების რეგულატორი.
8. დაბალი სიხშირეების რეგულატორი.






9. RCA — 3,5 მმ კონექტორი.
10. 2RCA — 2RCA კონექტორი.
11. ოპტიკური კონექტორი.
12. მარჯვენა დინამიკის აუდიოგამოსასვლელი.
13. ღილაკი „ჩართვა/გამორთვა“.
14. კონექტორი კვების მისაერთებლად.
15. მარცხენა დინამიკის აუდიოშესასვლელი.


კაბელების მიერთების სქემა





1. ოპტიკური კაბელი.
2. კაბელი 2RCA — 2RCA.
3. Bluetooth-კავშირი (მოქმედების მაქსიმალური რადიუსი — 9 მ).
4. კაბელი RCA — 3,5 მმ.
5. შემაერთებელი კაბელი.
6. კვების ადაპტერი.
7. USB-მეხსიერების მიერთება.

დისტანციური მართვის პულტი



1. ღილაკი „ჩართვა/გამორთვა“.
2. რეჟიმი „ხმის გარეშე“.
3. ხმის გაბრდა.
4. ხმის შემცირება.
5. წინა ტრეკი.
6. შემდეგი ტრეკი.
7. პაუზა/დაკვრა.
8. სიგნალის წყარო — ოპტიკური კაბელი.
9. სიგნალის წყარო — RCA — 3,5 მმ კაბელი.
10. სიგნალის წყარო — „Bluetooth“.
11. სიგნალის წყარო — USB-მეხსიერება.
12. სიგნალის წყარო — 2RCA — 2RCA კაბელი.
13. ხმის რეჟიმი „კინო“.
14. ხმის რეჟიმი „მუსიკა“.
15. ხმის რეჟიმი „დიალოგი“.

ტექნიკური მახასიათებლები

- მოდელი: BHS-200.
- სავაჭრო ნიშანი: Fiero.
- სისტემის ფორმატი: 2.0.
- საერთო გამომავალი სიმძლავრე: 60 ვტ.
- დინამიკების კვების პარამეტრები: 19 ვ ⎓ 1,89 ა.
- კვების ადაპტერის პარამეტრები:
  - შესასვლელი: 100–240 ვ, 50 ჰც.
  - გამოსასვლელი: 19 ვ ⎓ 1,89 ა.
- დასაკრავი სიხშირე: 40 ჰც — 20 კჰც.
- სიგნალი/ხმაური თანაფარდობა: ≥ 80 დბ.
- ჯამური დამახინჯების დონე: < 0,5%.
- იმპედანსი: 4 ომი.
- Bluetooth უსადენო კავშირის ვერსია: 5.0.
- Bluetooth უსადენო კავშირის სტანდარტი: IEEE 802.15.1.
- Bluetooth უსადენო კავშირის სიხშირეთა დიაპაზონი: 2400–2483,5 მჰც.
- Bluetooth უსადენო კავშირის გადამცემის სიმძლავრე: 9 დბმ.
- Bluetooth-ის მოქმედების რადიუსი: 10 მ.
- კვების კაბელის სიგრძე: 150 სმ.
- აუდიოკაბელის სიგრძე: 150 სმ.
- აკუსტიკური კაბელის სიგრძე: 180 სმ.
- გამოსხივებლის დიამეტრი: 100 მმ.
- ელექტროშოკისგან დაცვის კლასი (მოწყობილობა): II.
- ელექტროშოკისგან დაცვის კლასი (კვების ადაპტერი): II.
- კვების კაბელის მიმაგრების ტიპი: X.
- ტენისა და მტვრისგან დაცვის ხარისხი: IPX0.
- გამოყენების სფერო: საყოფაცხოვრებო.

კომპლექტაცია

- დინამიკები 2.0.
- კაბელი 2RCA — 2RCA.
- კაბელი 2RCA — 3.5 jack.
- აკუსტიკური კაბელი.
- ოპტიკური კაბელი.
- კვების ადაპტერი.
- დისტანციური მართვის პულტი.
- მომხმარებლის სახელმძღვანელო.

ექსპლუატაციის ინსტრუქცია

დინამიკების მიერთება კვების წყაროსთან

კვების წყაროსთან მისაერთებლად გამოიყენეთ კვების ადაპტერი.

დინამიკების მიერთება გარე მოწყობილობასთან

RCA — 3,5 მმ და 2RCA — 2RCA კაბელების საშუალებით

1. შეაერთეთ კაბელი დინამიკების RCA კონექტორებთან, შემდეგ კი — გარე მოწყობილობის 3,5 მმ კონექტორთან.
2. დააჭირეთ სიგნალის წყაროს გადამრთველ ღილაკს, სანამ სინათლის ინდიკატორი ცისფრად/ნარინჯისფრად არ აინთება, ან დააჭირეთ ღილაკს „LINE1“ / „LINE2“ მართვის პულტზე.

ოპტიკური კაბელის საშუალებით

1. შეაერთეთ ოპტიკური კაბელი დინამიკის შესაბამის კონექტორთან, შემდეგ კი — გარე მოწყობილობასთან.
2. დააჭირეთ სიგნალის წყაროს გადამრთველ ღილაკს, სანამ სინათლის ინდიკატორი თეთრად არ აინთება, ან დააჭირეთ ღილაკს „OPT“ მართვის პულტზე.

გარე მოწყობილობების მიერთება

1. შეაერთეთ კაბელი დინამიკების RCA კონექტორებთან, შემდეგ კი — გარე მოწყობილობის 3,5 მმ კონექტორთან.
2. დააჭირეთ სიგნალის წყაროს გადამრთველ ღილაკს, სანამ სინათლის ინდიკატორი ყვითლად არ აინთება, ან დააჭირეთ ღილაკს „RCA“ მართვის პულტზე.

USB-მეხსიერების მიერთება

1. შეაერთეთ USB-მეხსიერება დინამიკების USB კონექტორთან.
2. დააჭირეთ სიგნალის წყაროს გადამრთველ ღილაკს, სანამ სინათლის ინდიკატორი იისფრად არ აინთება, ან დააჭირეთ ღილაკს „USB“ მართვის პულტზე.
3. დაკვრა მართეთ დინამიკებიდან.

მოწყობილობების მიერთება Bluetooth-ით

1. დააჭირეთ ღილაკს „BT“ მართვის პულტზე ან დააჭირეთ დინამიკზე სიგნალის წყაროს გადამრთველ ღილაკს, სანამ სინათლის ინდიკატორი ლურჯად არ აციმციმდება.
2. ჩართეთ Bluetooth წყარო-მოწყობილობაზე.
3. მოძებნეთ მოწყობილობა „Fiero BHS-200“ და დაუკავშირდით მას. წარმატებული მიერთებისას სინათლის ინდიკატორი დაიწყებს ნელ ციმციმს ლურჯი ფერით.
4. დაკვრა მართეთ წყარო-მოწყობილობიდან.
5. თუ Bluetooth-ით დაკვრა წყდება, მიიტანეთ წყარო-მოწყობილობა უფრო ახლოს ან მოაშორეთ სხვა Bluetooth-სიგნალის წყაროები (უსადენო მონიტორები, კამერები, ტელეფონები და ა.შ.).

შესაძლო პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

მოწყობილობა არ ირთვება

- დარწმუნდით, რომ მოწყობილობა სწორადაა მიერთებული კვების ქსელთან.
- დარწმუნდით, რომ როზეტში არის ძაბვა.
- დააჭირეთ კვების ღილაკს მოწყობილობის ჩასართავად.
- გამოაერთეთ და ხელახლა მიაერთეთ კვების ადაპტერი, შემდეგ ხელახლა ჩართეთ მოწყობილობა.

ხმა არ არის

- გაზარდეთ ხმა. დააჭირეთ „Vol+“ მართვის პულტზე ან მართვის პანელზე.
- დააჭირეთ ღილაკს „MUTE“ დისტანციური მართვის პულტზე, რათა დარწმუნდეთ, რომ ხმოვანი პანელი გამორთული არ არის.
- დააჭირეთ სიგნალის წყაროს არჩევის ღილაკს, რათა აირჩიოთ შესასვლელი სიგნალის სხვა წყარო.
- დარწმუნდით, რომ ხმის წყარო მხარს უჭერს დინამიკებთან მუშაობას.
- Bluetooth-ის გამოყენებისას დარწმუნდით, რომ წყარო-მოწყობილობაზე ხმა ჩართულია და მოწყობილობა გამორთული არ არის.

მართვის პულტი არ მუშაობს

- სანამ დაკვრის მართვის რომელიმე ღილაკს დააჭერთ, ჯერ აირჩიეთ სწორი წყარო.
- შეამცირეთ მანძილი პულტსა და მოწყობილობას შორის.
- ჩადეთ ბატარეები პოლარობის დაცვით.
- გამოცვალეთ ბატარეები.
- მიმართეთ დისტანციური მართვის პულტი უშუალოდ მოწყობილობის წინა პანელზე არსებულ სენსორზე.

ვერ ვპოულობ ამ მოწყობილობის Bluetooth-სახელს ჩემს Bluetooth-მოწყობილობაზე

- დარწმუნდით, რომ Bluetooth ფუნქცია გააქტიურებულია თქვენს Bluetooth-მოწყობილობაზე.
- ხელახლა მიაერთეთ მოწყობილობა Bluetooth-მოწყობილობას.

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- მოწყობილობა არ საჭიროებს რაიმე მონტაჟს ან მუდმივ ფიქსაციას.
- მოწყობილობის შენახვა უნდა განხორციელდეს შეფუთვაში, მწარმოებელსა და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურაზე 5 °C-დან 40 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას არაუმეტეს 80%. შენობებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავა, ტუტე ორთქლი).
- მოწყობილობის გადაზიდვა უნდა განხორციელდეს მშრალ გარემოში.
- მოწყობილობა მოითხოვს ფრთხილ მოპყრობას; დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენიანობის, ცეცხლის და ა.შ. ზემოქმედებისგან.
- მოწყობილობის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- მოწყობილობის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვისცენტრს ან უტილიზაცია გაუკეთეთ მოწყობილობას.
- მოწყობილობის მომსახურების ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გადაგდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად აკრძალულია. ამის ნაცვლად ის უნდა ჩაბარდეს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მიღების შესაბამის პუნქტს შემდგომი გადამუშავებისა და უტილიზაციისთვის ფედერალური ან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ პროდუქტის სათანადოდ უტილიზაციით, თქვენ ხელს უწყობთ ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას და თავიდან აცილებთ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობისთვის ზიანს, რაც შესაძლებელია არასათანადო მოპყრობისას. ამ პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებში ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საწარმოში.

დამატებითი ინფორმაცია

მწარმოებელი: მაიბესტსაუნდ კო., ლტდ.
301, შენობა A3, სამრეწველო პარკი ჰაოჩენი (ჰეპინი), დასავლეთის გზატკეცილი ჰესიუ №66, ჰეპინ კომიუნიტი, ფუხაის ქუჩა, ბაოანის რაიონი, ქ. შენჯენი, ჩინეთი.

Manufacturer: Mybestsound Co.,Ltd.
301, Building A3, Haocheng (Heping) Industrial Park, No.66 Hexiu West Road, Heping Community, Fuhai Street, Baoan District, Shenzhen, China.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი საქართველოში / მწარმოებლის მიერ უფლებამოსილი პირი:
შპს არგო ელექტრონიქს ს/კ 405791674 საქართველო,
ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

ნაწარმი შეესაბამება TP TC (ЕАЭС) მოთხოვნებს.

სპეციფიკაციები, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია და მისი გარეგნული იერსახე შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.



საქონელი დამზადებულია (თვ.წწწწ): _____ v.9

საგარანტიო ტალონი

SN/IMEI: _____

გარანტიაზე აყვანის თარიღი: _____

მწარმოებელი უზრუნველყოფს მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო ვადა აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე.

საგარანტიო მომსახურება მოიცავს იმ ელემენტების უფასო შეკეთებას ან შეცვლას, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა მომხმარებლის ბრალის გარეშე საგარანტიო ვადის განმავლობაში, ნაწარმის მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად ექსპლუატაციის პირობით. ელემენტების შეკეთება ან შეცვლა ხორციელდება უფლებამოსილი სერვისცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 12 თვე.
ექსპლუატაციის ვადა: 24 თვე.

საგარანტიო ვალდებულებები და უფასო სერვისული მომსახურება არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ აქსესუარებზე, რომლებიც საქონლის კომპლექტაციაში შედის, თუ მათი შეცვლა არ არის დაკავშირებული ნაწარმის დაშლასთან:

- კვების ელემენტები (ბატარეები) დისტანციური მართვის პულტისთვის.
- შემაერთებელი კაბელები, ანტენები და მათი გადამყვანები, ყურსასმენები, მიკროფონები, „HANDS-FREE“ მოწყობილობები; სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მატარებლები, კომპლექტში მოწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა და დრაივერები (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ნაწარმის მყარ მაგნიტურ დისკებზე წინასწარ დაყენებული პროგრამული უზრუნველყოფა), გარე შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობები და მანიპულატორები.
- ქეისები, ჩანთები, ღვედები, სატარებელი თასმები, სამონტაჟო მოწყობილობები, ინსტრუმენტები, ნაწარმზე დართული დოკუმენტაცია.
- ხარჯვადი მასალები და ნაწილები, რომლებიც ბუნებრივ ცვეთას ექვემდებარება.

მწარმოებელი არ ცნობს საგარანტიო ვალდებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

- საგარანტიო ვადის ამოწურვა.
- თუ ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია პირადი (საყოფაცხოვრებო, საოჯახო) საჭიროებებისთვის, გამოიყენებოდა სამეწარმეო საქმიანობისთვის, ასევე სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება მის უშუალო დანიშნულებას.
- მწარმოებელი პასუხს არ აგებს ნაწარმის მფლობელისა და/ან მესამე პირების მიერ მიღებულ შესაძლო მატერიალურ, მორალურ და სხვა ზიანზე, რომელიც გამოწვეულია გამოყენებისას მომხმარებლის სახელმძღვანელოს მოთხოვნების დარღვევით, ნაწარმის მონტაჟისა და მომსახურების რეკომენდაციების, მიერთების წესების (მოკლე ჩართვები, რომლებიც ასევე წარმოიშვა შეუსაბამო ქსელური ძაბვის ზემოქმედების შედეგად, როგორც თავად ნაწარმზე, ისე მასთან ერთად მომუშავე ნაწარმზე), ნაწარმის შენახვისა და ტრანსპორტირების წესების დაუცველობით.
- მექანიკური დაზიანების ყველა შემთხვევა: ჩამოტეხილობები, ბზარები, დეფორმაციები, დარტყმის კვალი, ჩაღრმავებები, ჩაჭყლეტები და სხვ., რომლებიც მიღებულია ნაწარმის ექსპლუატაციის პროცესში.
- არის გარეშე პირის მიერ შეტანილი ცვლილებების, ასეთი სამუშაოების ჩასატარებლად არაუფლებამოსილი პირების მიერ არასანქცირებული შეკეთების კვალი. თუ დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის კონსტრუქციის ან სქემის შეცვლით, მწარმოებლის მიერ გაუთვალისწინებელი გარე მოწყობილობების მიერთებით, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად შესაბამისობის სერტიფიკატის არმქონე მოწყობილობის გამოყენებით.
- თუ ნაწარმის დეფექტი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური მოვლენების, ხანძრების, წყალდიდობების, მიწისძვრების, საყოფაცხოვრებო ფაქტორებისა და მწარმოებლისგან დამოუკიდებელი სხვა სიტუაციების) ზემოქმედებით, ან მესამე პირების ქმედებებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა მწარმოებელს არ შეეძლო.
- დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის შიგნით უცხო საგნების, უცხო სხეულების, ნივთიერებების, სითხეების, მწერების ან ცხოველების მოხვედრით, აგრესიული გარემოს, მაღალი ტენიანობის, მაღალი ტემპერატურების ზემოქმედებით, რამაც გამოიწვია ნაწარმის სრული ან ნაწილობრივი მწყობრიდან გამოსვლა.
- ნაწარმის იდენტიფიკაცია (სერიული ნომერი) არ არსებობს ან არ შეესაბამება. თუ დაზიანებები (ნაკლოვანებები) გამოწვეულია მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ზემოქმედებით; პაროლების (კოდების) დაყენებით, შეცვლით ან წაშლით, რამაც გამოიწვია ნაწარმის პროგრამულ რესურსებზე წვდომის არარსებობა, მათი გადატვირთვის/აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებლის მიერ ამ სერვისის არმიწოდების გამო.
- თუ მუშაობის დეფექტები გამოწვეულია კვების, საკაბელო, სატელეკომუნიკაციო ქსელების სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შეუსაბამობით, რადიოსიგნალის სიმძლავრით, მათ შორის რელიეფის თავისებურებებისა და სხვა მსგავსი გარე ფაქტორების გამო, ნაწარმის ქსელის მოქმედების ზონის საზღვარზე ან მის გარეთ გამოყენებით.
- თუ დაზიანებები გამოწვეულია არასტანდარტული (არაორიგინალური) და/ან უხარისხო (დაზიანებული) ხარჯვადი მასალების, აქსესუარების, სათადარიგო ნაწილების, კვების ელემენტების, სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო მატარებლების (მათ შორის CD, DVD დისკების, მეხსიერების ბარათების, SIM-ბარათების, კარტრიჯების) გამოყენებით.
- თუ ნაკლოვანებები გამოწვეულია შეუთავსებელი კონტენტის (მელოდიები, გრაფიკა, ვიდეო და სხვა ფაილები, Java აპლიკაციები და მათი მსგავსი პროგრამები) მიღებით, ინსტალაციითა და გამოყენებით.
- ამ ნაწარმთან ერთად მომუშავე სხვა მოწყობილობისთვის მიყენებულ ზიანზე.

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის


Fiero